



წიგნი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-14/58

ქ. თბილისი

26 02 2018

დოქტორანტ ჟანა გაბარაევის დისერტაციის დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2018 წლის 12 იანვრის (ოქმი №7) გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დაინიშნოს დოქტორანტ ჟანა გაბარაევის (პირადი №01019015916), რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა - „ბიზნესის ადმინისტრირება“, სადისერტაციო თემა - „აუდიტორული საქმიანობის რეგულირების სრულყოფა საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში“.

სადისერტაციო კოლეგია:

- პროფესორი რუსუდან ქუთათელაძე (სტუ, თავმჯდომარე);
- პროფესორი ნინო ფაილოძე (სტუ, ხელმძღვანელი);
- ასოცირებული პროფესორი სოფიო ბლიაძე (სტუ, რეცენზენტი);
- პროფესორი დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეცენზენტი);
- პროფესორი ლევან გრიგალაშვილი (სტუ);
- მოწვეული პროფესორი ზურაბ ლიპარტია (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი რუსუდან ქინქლაძე (სტუ);
- ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი გოჩა ჩადუნელი (შპს აუდიტორული ფირმა „ფინანსური მართვის ჯგუფი“, მოწვეული წევრი);
- ასოცირებული პროფესორი ნანული ძიმციეშვილი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი)-

2. დისერტაციის დაცვა შედგეს 2018 წლის 2 მარტს, 15<sup>00</sup> საათზე, სტუ-ის VI კორპუსის 710<sup>ა</sup> აუდიტორიაში.

რექტორი

*[Handwritten signature]*

არჩილ ფრანგიშვილი

*[Handwritten mark]*